

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

26 სექტემბერი 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, ბარნოვის 75

სხდომის დაწყების დრო: 19:00სთ.

**სხდომაზე დამსწრე პირები:**

გოჩა სვანიძე (სხდომის თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, დავით ლანჩავა, დავით ასათიანი, როინ მიგრიაული, იასონ ბესელია, ნოდარ ფეიქრიშვილი.

**დღის წესრიგი:**

1. სარევიზიო კომისიის დასკვნის შესახებ;
2. აუდიტის შუალედური დასკვნის შესახებ;
3. ტესტირების ჩატარების წესში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;
4. 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით

**სხდომამ მოისმინა:**

**გოჩა სვანიძე** – პირველ რიგში საინტერესოა განვიხილოთ, თუ რა დოკუმენტი ასრულებს სარევიზიო კომისიის მიერ შედგენილი ასოციაციის საქმიანობის ირგვლივ

**იასონ ბესელია** – მე და კახა რამდენჯერმე შევხდით, მე ვიღებდი ინფორმაციას საქმიანობის შესახებ, მან მოხოვა რიგგარეშე შეხვედრა. არსებობს დოკუმენტიც.

**ზვიად კორძაძე** – ეს არ არის ის დოკუმენტი, რომელიც სრულყოფიულად ასახავს რეალობას.

**გოჩა სვანიძე** – მიაქცია თუ არა სარევიზიო კომისიამ ყურადღება როდის განისაზღვრა ხელფასი, და ნანახი აქვს თუ არა რაიმე დოკუმენტი ხელფასის შესახებ?

**იასონ ბესელია** – მიმაჩნია, ვინაიან დადგენილი იყო რომ მას ხელფასიან სამსახურში უნდა ემუშავა, მას უნდა აეღო კიდევ ხელფასი.

**დავით ლანჩავა** – მას გარკვეული პერიოდი შეჩერებული ქონდა უფლებამოსილება ეს თქვენთვის ხომ ცნობილია?

**იასონ ბესელია** – თუ შეჩერებული ქომდა არ უნდა აეღო.

**დავით ლანჩავა** – ჩვენ ხელფასის ყველაზე დიდი ოდენობა განესაზღვრეთ იმიტომ, რომ ის ერთი წელი უხელფასოდ იყო.

**ზვიად კორძაძე** – არ ხორციელდებოდა უფლებამოსილება, არც ოფისი მუშაობდა იმ დატვირთვით.

**გოჩა სვანიძე** – ბევრ საკითხს დღეს ნათელი მოეფინა, ბევრიც ისევ გაურკვეველია. გასაფხულზე, როდესაც რაღაც კითხვები გაჩნდა ასოციაციის ირგვლივ, მაშინ ბატონმა კახამ გვიპასუხა, რომ არსებობდა სარევიზიო კომისიის დასკვნა. ჩვენ რეალურად ელემენტარული დოკუმენტიც ვერ მოვიპოვეთ და ეს დასკვნა რაიმე შემოწმებას ეყრდნობა თუ ზეპირად შეიქმნა?

**იასონ ბესელია** – მე მქონდა ასეთი კონტროლის მექანიზმი: ინფორმაცია ვიღებდი ბუღალტერისგან.

**ზვიად კორძაძე** – რას იტყვით იმაზე, რომ ნაყიდა მანქანა და არ არის ორგანიზაციის სახელზე.

**ნოდარ ფეიქრიშვილი** – აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორი წლის შემდეგ სარევიზიო კომისიას გაუვიდა უფლებამოსილების ვადა.

**ზვიად კორძაძე** – თუ სარევიზიო კომისიის წევრები თვლიან რომ ეს დოკუმენტი არის სარევიზიო კომისიის დასკვნა, ამ შემთხვევაში საერთო კრებამ უნდა იმსჯელოს ამაზე, მაგრამ თუ დადასტურდება, რომ ეს მხოლოდ კომისიის ერთი წევრის ნააზრევია, მაშინ ეს განხილვის სფერო აღარაა.

სხდომის მსვლელობისას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის იასონ ბესელიას მიერ გაკეთდა წერილობითი განცხადება, რომ 2007 წლის ოთხი იანვრის დადგენილება არ არის შედგენილი სარევიზიო კომისიის მიერ, არ წარმოადგენს კომისიის ერთობლივ ნამუშევარს და ბუნებრივია ამ დოკუმენტს იურიდიული ძალა არა აქვს. აღნიშნულს დაითანხმა სარევიზიო კომისიის წევრი ნოდარ ფეიქრიშვილი.

### **აღმასრულებელმა საბჭომ**

ცნობად მიიღო სარევიზიო კომისიის დასკვნის არ არსებობა.

*გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად*

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით

### **სხდომამ მოისმინა:**

**ზვიად კორძაძე** – შუალედურ დასკვნაში არის რაღაცეები, რაც კითხვებს აჩენს, მაგ: მოსაზრება ხელფასთან დაკავშირებით. არსებობს საბჭოს გადაწყვეტილება ხელფასის დანიშვნის თაობაზე.

**გოჩა სვანიძე** – გასათვალისწინებელია, რომ აღმასრულებელი საბჭო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც თავმჯდომაროს ხელფასს განსაზღვრავს და საბჭო შეიქმნა 2006 წელს.

**ზვიად კორძაძე** – თქვენ ამბობთ, რომ მუშაობა უნდა ანაზღაურდეს. საიდან იცით რომ იმუშავა. გვაქვს ორი საკითხი: პირველი – არ უმუშავია და მეორე – საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება 2005 წლის ხელფასზე.

**აუდიტორული კომპანიის წარმომადგენელი** – თუ უფლებამოსილება შეჩერებული ქონდა უნდა დააბრუნოს თანხა. ხელფასის დარიცხვის უწყისი ეს არის დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე, ამ შემთხვევაში ბუღალტერი ვალდებულია შეასრულოს.

**ზვიად კორძაძე** – გვეთანხმებით თუ არა რომ ხელფასი დარიცხული დარღვევით.

**აუდიტორული კომპანიის წარმომადგენელი** – არსებობს ამ პერიოდის დოკუმენტები, რომელსაც თავმჯდომარე ხელს აწერდა, რაც მაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ ის მუშაობდა.

**როინ მიგრიაული** – თქვენ ხომ იცნობთ ასოციაციის წესდებას, და თქვენ თქვით, რომ დარიცხვის დოკუმენტია მთავარი. მას აღმასრულებელი საბჭოს თანხმობა არ ქონია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება გადაიდო აუდიტორული კომპანიის მიერ საბოლოო დასკვნის წარმოდგენამდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით

**საბჭომ გადაწყვიტა:**

ტესტირების ჩატარების წესში შეტანილ იქნას ცლილებები და დამატებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით

**საბჭომ გადაწყვიტა:**

2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ და ხელს აწერენ:

გონასვანიძე  
(სხდომის თავმჯდომარე)

ზვიად კორძაძე

დავით ლანჩავა

დავით ასათიანი

როინ მიგრიაული